ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №68-041018-01
(კონსოლიდირებული ტენდერი CON180000001)

ქ.თბილისი 04.10.2018 წელი

ერთის მხრივ სს„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (შემდგომში ,,შემსყიდველი”), წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში დავით ვარდიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ესაბი” (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის, აკაკი ციმაკურიძის სახით, ვმოქმედებთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 11 აპრილის №10 ბრძანებით დამტკიცებული „სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების წესისა და პირობების“, „სხვადასხვა სახის პრინტერებისა და კარტრიჯების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აპრილის №815 განკარგულების, კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც შეისყიდის საქონელს.

1.1.4. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6. სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

1.1.7. თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

1.1.8. სატენდერო დოკუმენტაცია - 2018 წლის 19 აპრილის A4 ფორმატის „A“ ტიპის ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერებისა და მათთვის განკუთვნილი ორიგინალი ტონერიანი კარტრიჯების 2018-2019 წლების კონსოლიდირებული ტენდერის (CON180000001) სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც შესაძლოა დანართის სახით ფიზიკურად არ დაერთოს წინამდებარე ხელშეკრულებას, მაგრამ წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

1.1.9. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ 1 (ერთი) ცალი A4 ფორმატის „A“ ტიპის ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერის (CPV - 30232110) და მისთვის განკუთვნილი 5 (ხუთი) ცალი ტონერიანი კარტრიჯის (CPV - 30125100) (შემდგომში „საქონელი“) სახელმწიფო შესყიდვა დანართი #1–ის, დანართი#2-სა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3. სახელშეკრულებო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა (შემდგომში „სახელშეკრულებო ღირებულება“) 702.66 (შვიდას ორი ლარი და 66 თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3.2. სახელშეკრულებო ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შესაბამისად;
4.1.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უსასყიდლოდ უზრუნველყოს ბარაბნით, შემსყიდველის მიერ ყოველი გარკვეული რაოდენობის კარტრიჯების შესყიდვისას, რომელთა გვერდის ბეჭდვის ჯამური რაოდენობა გადააჭარბებს მწამოებლის ოფიციალური რეკომენდაციით დადგენილ 10000 გვერდს.
4.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს პასუხი ყველა საკითხზე;
4.1.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება აწარმოოს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით;
4.1.5. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;
4.1.6. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი;

5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონლის ხარისხი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1. მიმწოდებელი უფლებამოსილია არ განახორციელოს საქონლის პირველი მიწოდება გამარჯვებულად გამოვლენიდან არაუადრეს 60 კალენდარული დღისა;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღე, ხელშეკრულების 6.1 პუნქტის გათვალისწინებით. შემსყიდველის მიერ საქონლის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ელ. ფოსტის მეშვეობით (შემსყიდველის ელ. ფოსტის მისამართი: public@gogc.ge; მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი support@esabi.ge;info@esabi.ge);

6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ 37დ.

6.4. სტანდარტულ პრინტერებთან მიმართებით მიმწოდებლის სატენდერო წინადადება ძალაშია 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით, ხოლო კარტრიჯებთან მიმართებით - 2021 წლის 30 აპრილის ჩათვლით;

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, საქონლის მიწოდებისას შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2 საქონელი ჩიათვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

7.3 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი ფინანსურ საკითხებში დავით ვარდიაშვილი. მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია აკაკი ციმაკურიძე.

7.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

7.5 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.
ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
გ) მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

8. გარანტია

8.1. პრინტერებზე ვრცელდება მწარმოებლის საერთაშორისო საგარანტიო პოლიტიკის შესაბამისი საგარანტიო მომსახურება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან სამი წლის განმავლობაში;

8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს. მიმწოდებელი განახორციელებს ხარვეზის აღმოფხვრას საგარანტიო საქონლის მიმწოდებლის სერვის ცენტრში (ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. №16, +995 32 2913471; ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის №94, +995 32 2 200 202; ქ. ქუთაისი, ლ.ასათიანის №98, +995 32 2 200 202; ქ. გორი, დ.გურამიშვილის №70, +995 32 2 200 202; ქ. თელავი, აღმაშენებლის №52ბ, +995 32 2 200 202) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, არ გაავრცელოს საგარანტიო პირობები იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესყიდულ პრინტერში გამოიყენებს კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ შესყიდულ კარტრიჯებს (მათ შორის არაორიგინალს, დატენილს ან თავსებადს).

8.4. საქონლის ქარხნული წუნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, განახორციელოს წუნდებული საქონლის ახლით შეცვლა შემსყიდველის მიერ მიმართვიდან, საქონლის მიმწოდებლის სერვის-ცენტრში წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით, კონსოლიდირებული ტენდერითა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

9.2 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) სტანდარტული პრინტერის და სტანდარტული კარტრიჯის ხელშეკრულებით განსაზღვრული საორიენტაციო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

9.3 საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

9.4 ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას გადაიხადოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით.

9.5 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9.6 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 30 მაისის ჩათვლით.

11 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 ბაზრის კონიუნქტურის გათვალისწინებით ან დაინტერესებული პირის მხრიდან წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, უფლებამოსილია, გადახედოს მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ერთი ერთეული სტანდარტული პრინტერისა და ერთი ერთეული კარტრიჯის ფასს და ბაზარზე შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილოს მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასის ცვლილება.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 (ათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა;

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14 სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

14.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სს„საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“	შპს „ესაბი“
ს/კ 206237491	ს/კ – 204378173
წარმოდგენილი დირექტორის ფინანსურ საკითხებში დავით ვარდიაშვილის სახით	წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, აკაკი ციმაკურიძის სახით
მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი N21	მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ 37დ
ტელეფონი: 2 24 40 40	ტელეფონი: 2 25 29 00
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.N GE71TB7895736036100001	ანგ.№ GE30 PC00 5360 0100 0130 98
სს „თიბისი ბანკი“	ს/ს პროკრედიტ ბანკი
TBCBGE22	MIBGGE22

დანართი #1

ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ბრენდისა და მოდელის დასახელება	რ-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	A4 ფორმატის ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი	Xerox Phaser 3052NI	1 ცალი	284.16	284.16
2	A4 ფორმატის ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერისათვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯი	Xerox 106R02778 სტანდარტული ტონერ კარტრიჯი 3000 გვ რესურსით 5% დაფარვისას	4 ცალი	93.00	372.00
3	A4 ფორმატის ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერისათვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯი	Xerox 650N05408 სტანდარტული ტონერ კარტრიჯი 1500 გვ რესურსით 5% დაფარვისას	1 ცალი	46.50	46.50
				სულ დღგ-ს ჩათვლით:	702.66

მიმწოდებელი:
შპს „ესაბი
წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის,
აკაკი ციმაკურიძის სახით

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №68-041018-0/
დანართი #2

ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერის ტექნიკური მაჩვენებლები

#	სავალდებულო მოთხოვნები	მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლები
1	ბეჭდვის ტიპი:	შავ-თეთრი
2	ტექნოლოგია:	ლაზერული
3	პირველი გვერდის ამობეჭვდის დრო:	არაუმეტეს 8.5 წამი
4	ბეჭდვის სიჩქარე:	26 გვ/წუთში A4
5	პრინტერის გარჩევადობა:	600 x 600 dpi (up to 4800 x 600 enhanced image quality)
6	ფორმატი:	ძირითადი უჯრა რეგულირებადი: 3 x 5 in. to 8.5 x 14 in. / 76 x 127 mm to 216 x 356 mm . მოიცავს A4-ს. ხელით მიმწოდებელი უჯრა რეგულირებადი: 3 x 5 in. to 8.5 x 14 in. / 76 x 127 mm to 216 x 356 mm . მოიცავს A4-ს.
7	საქაღალდე უჯრა:	250 ფურცელამდე
8	საკომუნიკაციო პორტები:	10/100 Base- T Ethernet, WI-FI b/g/n, High-Speed USB 2.0
9	USB კაბელი	არანაკლებ 1.5 მ. სიგრძის USB კაბელი
10	ოპერატიული მეხსიერება:	256 MB
11	მაქსიმალური დატვირთვის ციკლი თვეში:	30000 გვერდამდე/თვეში
12	შემომავალი დენი:	220 – 240 VAC, 50/60 Hz
13	ოპერაციულ სისტემებთან თავსებადობა:	Windows, Linux, Mac OS

მიმწოდებელი:
შპს „ესაბი
წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის,
აკაკი ციმაკურიძის სახით სახით

ESABI

დანართი #3

პრეტენდენტი: შპს „ესაბი“. თარიღი: 11.05.2018. ტენდერი: CON180000001

№	შესასყიდი საქონელი	ერთეულის ფასი	საორიენტაციო რაოდენობა	ჯამური ღირებულება	მთლიანი ჯამური ღირებულება	ბრენდისა და მოდელის დასახელება	წარმოშობის ქვეყანა
1	A4 ფორმატის ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი	ერთ ერთეული პრინტერის ფასი-284.16 ლარი	1 200 ცალი	340 992.00 ლარი	712 992.00 ლარი	Xerox Phaser 3052NI	ჩინეთი
2	A4 ფორმატის ერთფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერისათვის განკუთვნილი ორიგინალი კარტრიჯები	ერთი გვერდის ბეჭდვის ფასი-0.031 ლარი (3.1 თეთრი)	12 000 000 გვერდი	372 000 .000 ლარი		Xerox 106R02778 სტანდარტული ტონერ კარტრიჯი 3000 გვ რესურსით 5 % დაფარვისას	ჩინეთი

შენიშვნა:

- წარმოდგენილ ორიგინალ ტონერიან კარტრიჯში არ არის ინტეგრირებული ე.წ. „ბარაბანი“. დამკვეთისათვის მისი გაცემა მოხდება მოცემულ სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.
- სატენდერო წინადადება ძალაშია მოცემული სატენდერო დოკუმენტაციის 3.22 პუნქტის თანახმად.
- შემოთავაზებულ აპარტზე ვრცელდება 3 წლიანი გარანტია მწარმოებლის მიერ მსოფლიოში აღიარებული პირობების და მოცემულ ტენდერში მოთხოვნილი პირობების შესაბამისად.



შპს „ესაბი“-ს აღმასრულებელი დირექტორი: /აკაკი ციმაკურიძე/

Xerox® Phaser® 3052 და Xerox® WorkCentre™ 3215

	Phaser 3052NI	WorkCentre 3215NI
[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]
[illegible]	[illegible]	[illegible]

საგარანტიო ბარათი

ქ. თბილისი 04.10.2018

თანახმად კონსოლიდირებული ტენდერის CON180000001 ფარგლებში გაფორმებული
ხელშეკრულებისა # 68-041018-01

შემსყიდველს:

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია" ს/კ 206237491

გადაეცა A4 ფორმატის ერთფუნქციური შავთეთრი ლაზერული პრინტერი Xerox Phaser 3052NI შემდეგი სერიული ნომრებით

სერიული ნომერი	სერიული ნომერი	სერიული ნომერი	სერიული ნომერი	სერიული ნომერი	სერიული ნომერი	სერიული ნომერი
3361194763						

სულ 1 ერთეული

CON180000001 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაცემული პროდუქციის საგარანტიო პირობები

მოცემულ პრინტერზე ვრცელდება გარანტია 36 თვის ვადით დღიდან შეძენისა. გარანტია ითვალისწინებს მწარმოებლის მიზეზით წარმოქმნილი წუნის დაფიქსირების შემთხვევაში აპარატის უფასო რემონტს ან შეცვლას ახლით 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული პროცედურა ხორციელდება კომპანია Xerox -ის მიერ ავტორიზებული სასერვისო/ტექნიკური მხარდაჭერის პუნქტებში. მათი საკონტაქტო მონაცემები მითითებულია მოცემულ დოკუმენტში.

გარანტია მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის მხრიდან დაცულია ის ექსპლუატაციის პირობები, რომლებიც გაცემულია მწარმოებლის მიერ და წარმოდგენილი არის აპარატის თანმხლებ შესაბამის დოკუმენტაციაში.

საგარანტიო პირობები არ ვრცელდება პრინტერის რესურსულ მასალებზე.

საგარანტიო პირობების ფარგლებში არ სრულდება შემდეგი სამუშაოები: პროფილაქტიკა, რომელიც გულისხმობს აპარატისა და მისი კვანძების გასუფთავებას, რეგულირებასა და გაწყობას; სახარჯი მასალების შეცვლას; მომხმარებლის სამუშაო გარემოში აპარატის და პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერულ ქსელში გამართვას.

მოცემული პრინტერი დაექვემდებარება საგარანტიო აღრიცხვიდან მოხსნას და შესაბამისად მასზე არ გავრცელდება საგარანტიო პირობები, თუ:

მომხმარებელი ორგანიზაცია მოცემული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შეძენილ პროდუქციაში გამოიყენებს მოცემული კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებს გარეთ შესყიდულ კარტრიჯებს(მათ შორის არაორიგინალს, დატენილს ან თავსებადს).

პროდუქციის რემონტი ან რემონტის მცდელობა განხორციელებული იქნება მწარმოებელი კომპანია Xerox -ის მიერ არა ავტორიზებული პირის/ორგანიზაციის მიერ.

საგარანტიოდ არ ჩაითვლება ის დეფექტები, რომლებიც გამოწვეულია მოცემული პრინტერის მექანიკური დაზიანებებით, მათ შორის იგულისხმება ის დეფექტებიც რომლებიც გამოწვეულია აპარატში უცხო სხეულების, სითხის, მწერებისა და სხვ. მოხვედრით, ასევე ფორს-მაჟორული სიტუაციებით(წყალდიდობა, ხანძარი და ა.შ.) გამოწვეული დაზიანებები. მოცემულ შემთხვევებში მიმწოდებელი იტოვებს უფლებას მოხსნას წარმოდგენილი აღნიშნული პრინტერი საგარანტიო აღრიცხვიდან.

გარანტია არ ფარავს შესაძლო ზარალს დაკავშირებულს მოგების დაკარგვასთან, მოწყობილობის დროებით შეცვლასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მონაცემების დაკარგვას და სხვა პირდაპირ ან ირიბ დანაკარგს, რომელიც გამოწვეულია მოწყობილობის გაუმართაობიდან.

საგარანტიოდ შეცვლილი ნებისმიერი მასალა წარმოადგენს მიმწოდებლის საკუთრებას.

საგარანტიო მომსახურების, ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებია:

1. შპს „ესაბი"
ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 16; წარმომადგენელი: ინგა აბრამიძე; საკონტაქტო ნომერია: +995 32 2913471/72

2. შპს „ელიტ სერვისი"
ქ. ბათუმი, ზ.გორგილაძის 94 ;წარმომადგენელი - ვახტანგ გუგუშვილი; საკონტაქტო ნომერია: +995 32 2 200 202.

3. შპს „ელიტ სერვისი"
ქ. ქუთაისი - ლ. ასათიანის 98 ;წარმომადგენელი - დალი ბერულავა; საკონტაქტო ნომერია: +995 32 2 200 202.

4. შპს „ელიტ სერვისი"
ქ. გორი - დ. გურამიშვილის 70 ;წარმომადგენელი - ნათია ბაზანდარაშვილი; საკონტაქტო ნომერია: +995 32 2 200 202

5. შპს „ელიტ სერვისი"
ქ. თელავი - აღმაშენებლის 52ბ ;წარმომადგენელი - გიორგი შაქარაშვილი; საკონტაქტო ნომერია: +995 32 2 200 202

შემსყიდველი ორგანიზაცია

სს "საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია"

_____

მიმწოდებელი

შპს "ესაბი"
აღმასრულებელი დირექტორი

_____ /ა. ციმაკურიძე/

ხელწერილი

04.10.2018

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ შპს„ესაბი“ -სთან (ს/კ 204378173), შესყიდვის განხორციელებისას ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-**8** მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დავით ვარდიაშვილი _____

ნადია ხაჟომია _____

თამარ გურგენიძე _____

მერაბ დადუნაშვილი _____

ლევან ჩხეიძე _____

გიორგი ვარდიაშვილი _____

ნოდარ ქუბრიაშვილი _____

არჩილ ბერიანიძე _____